

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2015 წლის 14 აგვისტო

№ 115

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულების 5.3.2. ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 24.10.2013 წ. №177 ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იურიდიული სამსახურის იურისტი დიმიტრი ბერძენიშვილი.
3. საჯარო ინფორმაციის გაცემისას დიმიტრი ბერძენიშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბლანკზე.
4. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის - დიმიტრი ბერძენიშვილის მოთხოვნა მისთვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის მიწოდების შესახებ, სავალდებულოა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ყველა თანამშრომლის და თანამდებობის პირისთვის და ის უნდა შესრულდეს მოთხოვნით დადგენილი წესით და ვადებში.
5. წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, აღნიშნული ვალდებულების დამრღვევ პირს დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა.
6. დაევალოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების გაცნობა თითოეული დასაქმებულისათვის.
7. წინამდებარე ბრძანება განთავსებულ იქნას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე.
8. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გენერალური დირექტორი

გიორგი ბარათაშვილი